



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ბრძანება N 199/2

2018 წლის 9 ნოემბერი ქ. თბილისი

დეკანებისა არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11, მე-20, 26-28-ე მუხლისა და 43-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2018 წლის 9 ნოემბრიდან გამოცხადდეს სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის და კინო-ტელე ფაკულტეტების დეკანების არჩევნები:

I. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა. ეკავოს პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა

ბ. სახელოვნებო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჰქონდეს არანაკლებ 6 წლის მუშაობის სტაჟი

გ. გააჩნდეს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება

II. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა. მოკლე ბიოგრაფიული ინფორმაცია

ბ. ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია

გ. საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

2. ფაკულტეტების დეკანობის მსურველი კანდიდატების რეგისტრაცია ჩატარდეს ფაკულტეტებზე.

3. კანდიდატების რეგისტრაცია დაიწყოს 2018 წლის 11 დეკემბრიდან და დასრულდეს 2018 წლის 20 დეკემბერს.

4. კანდიდატთა რეგისტრაცია (რეგისტრაციის ადგილი, ფორმატი) და კენჭისყრის თარიღი დადგინდეს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

5. ინფორმაცია არჩევნების გამოცხადების შესახებ განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.tafu.edu.ge.

6. ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაევალოს ფაკულტეტების საბჭოს.

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საორგანიზაციო სამსახურს.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ № 6.

რ ე ქ ტ ო რ ი

გიორგი მარგველაშვილი